

გაბრის იბაგს მთელი კოლექტივი


თბილისი. სპორტის სახანლე. 19 თებერვალი.
„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 89:82 (44:43).

თბილისი: კოლიჩევი (16), დერიუგინი (16), კაპუსტინი (15), დარსაძე (15), ტიუბინი (18), ზაზუნია (8), სანაძე (6).

მოსკოვი: სიზოვი (27), კორნიშინი (12), შიშკოვი (10), კოჩერგინი (10), სუხარევი (9), ოზონიკოვი (9), გონჩაროვი (8), უიგოლი (2), ვალაშვილი.


მსჯელები: ი. გოლინსკი (კალუგა), რ. რიჟიკი (კიევი).

დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთულ ვაჭა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ერთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიკრო-ეტაპი — მეოთხედფინალური ტურნირები. გამოვლინდა ოთხივე ნახევარფინალისტი — ცსკა, კაუნასის „ქალგირისი“, კიევის „სტროიტელი“ და



თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „დინამო“ კალათბურთის მატჩის დროს. ფოტო: ი. მამუკაძე

პროლეტარიატის ყველა ძველი, შვიტლი!



საპროლეტარიატო სსრ შრომური კლასისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარიატის რასაპროლეტარიატო საბჭოს მიერ

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ФУЗНИКАМИ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 თებერვალი, კვირა, 1988 წ. № 37 (9704) ღ ზანი 8 კაბ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

ვიფინარეობს სსრ კავშირის შვიარაღაული კალაბის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სროლის კვირაული

ახმანის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის უფროსკლასელი მოსწავლეების ხშირი სტუმარია რაიონის სამხედრო კომისარიატის თანამშრომელი უმანგი ახალაური, სროლის

კვირეულთან დაკავშირებით სკოლის მოსწავლეებმა უმანგი ახალაურის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღეს მკირეკალიბრანის და პნემატური შანახებით სროლაში.



ს უ რ ა თ ზ ე: უმანგი ახალაური მოსწავლეებთან. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

შეგახსენებთ!

დღეს, თბილისში, ხსტუმრო „აქარის“ წინ სტარტს აიღებს მძლეოსნური გარბენი, რომელიც დედაქალაქის სპორტსკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ. ღონისძიებას ატარებენ თბილისის სპორტკო-

მიტეტი, პროფკავშირების თბილისის საქალაქო საბჭო და ეძღვნება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 70 წლისთავს (დასაწყისი 11 საათზე).

რატომ არ ვიყენებთ?

სახსოვრებელ ადგილებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებისთვის პირველ ყოვლისა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ის სპორტული ბაზები, რომლებიც ამა თუ იმ მიკრორაიონის მოზინადრეებისთვის არის ხელმისაწვდომი. ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, ამას არაერთი სადირექტივო დადგენილება თუ გალაყვეტილებაც მოითხოვს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოგვარდა საღამოს საათებში, ე. ი. სწავლისა და თავისუფალ დროს სკოლის სპორტული დარბაზების გამოყენების საკითხი. არადა, ეს ახლა ძალზე აუცილებელია — სასკოლო დარბაზებში იმეცადინებდნენ, როგორც მოზარდები, ისე მათი მშობლები. თბილისში რამდენადაც ვიცო, მხოლოდ ერთი — № 1 ექსპერიმენტული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სადაც საღამოს საათებში იკრებიან მინიფეხბურთის მოყვარულები. როგორც ჩანს ძალიან გვაფერხებს უწყებრივი ბარბერები.

ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე თბილისის პარტიულ-სამაურნეო აპტივის კრების შესახებ

არა იმით რომ ახლა მოდარშია კოლხერატივი, არამედ იმით, რომ კოლხერატივი სპორტული ბაზების ეფექტიანობას ამაღლებს ყველაზე გონივრულ გზაა, წინადადებით შემოვიღოთ თბილისის ყველა რაიონში შეიქმნას მიკრორაიონების (უწყებრიობის მიუხედავად) სპორტული ბაზების გამოყენების საკოორდინაციო კოლხერატივი. ხომ დავრწმუნდით რა დიდი სიკეთე მოგვითქვამს სასკოლო საცურაო აუზების კოლხერატივისთვის გადაცემაში. მაშ, ნურც აქ დავაყვებებით.

რატომ? ამ კითხვზე პასუხის გაცემა მეც შემიძლია — არ ვიცი ბუნების წიაღში დასვენების სიკეთის ყადრი და იმით. პირდაპირ ვთქვათ — პატარაობიდანვე არ ვუნერგავთ ბავშვებს ბუნების სიყვარულს, პირადად ჩანართელობისთვის ზრუნვის უნარ-ჩვევებს. ბოლოს და ბოლოს ტურინში თუნდაც მხოლოდ ჩანართელობა არაა. ყველამ კარგად ვიცით მისი როლი მოზარდის სულიერი ფორმირების საქმეში.


გიმინა ლოლაძე, ინჟინერი.

სიკეთე, რომელსაც არ გავსებთ

ძალიან ცუდად ვიყენებთ ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივ პირობებს გაჯანსაღების ისეთი მასობრივი საშუალებისთვის, როგორიცაა ტურინში. მოსახლეობა თბილისში ახლა მილიონს დიდად აჭარბებს, მაგრამ თვით დედაქალაქის შემოგარენშიც კი შაბათს და კვირას კანტი-კუნტად თუ ნახავთ ტურისტულ ბლიკებზე თბილისელებს.

ტურინში ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების ყველასთვის ხელმისაწვდომი საშუალებაა. ამიტომ კი არ უნდა ვთხოვოთ, უნდა დავაგადავლოთ სასწავლებლები იქნება თუ შრომითი კოლექტივები, რომ უქმე დღეებში აუცილებლად მოაწყონ ტურისტული ლაშქრობები. იქ, ბუნების წიაღში კი სხვადასხვა სპორტული და გასართობი თამაშების ჩატარებაც შეიძლება. ამთავითვე უნდა შედგეს თბილისის მოსახლეობისთვის გათვალისწინებული ტურისტული ლაშქრობების ერთიანი კალენდარი, რომლის შესრულებაც შეეძლება. თბილისის ტურისტული კლუბს კი უფრო მეტი აქტიურობა მართება.

პანბანა მისნიძე.



შარბაპობით დაინყვს

ნაპიანი წლის ყოველ სტარტს, რომელიც წინ უსწრებს ოთხწლეულის ყველაზე დიდ ასპარეზობას, სტერეოტიპული სახელწოდება აქვს — ოლიმპიური ეგიდი. ამაში გადაჭარბებული არაფერია, რადგან შეჯიბრებაში მონაწილეები ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად იბრძვიან. ამ მხრივ გამოხატვის არც გუშინწინ კიევიში დაწყებული თანამედროვე ხუთბრუნელობის საკავშირო პირველობა გახლავთ, სადაც ჩვენი უძლიერესი ხუთსახეობის რაინდები სეულის თამაშების საგზურებს ეცილებიან ერთმანეთს.



წალტუბო (ჩვენი სპეც. კორ.). დღეიდან ნანა იოსელიანი და ელენა ახმლოვსკია საკონცერტო დარბაზ „ივერიაში“ ბრძოლას გააგრძელებენ. ეს, შეიძლება ითქვას, სულ სხვა ტიპის შეჯიბრება, მოკლე, 6 პარტიისაგან შემდგარი მატჩი იქნება, პრეტენდენტთა ორწრიანი ტურნირი კი ისტორიის საკუთრება გახდა.

ტურნირმა გულშემატიკვრებს არაერთი კითხვა აღუძრა, ზოგი „სტერეოტიპი“ მოხსნა, მოკლენებზე ახლებური თვლით შეგვახედდა. დავიწყეთ... ბოლოდან! ქეთევან არახამიას 3,5 ქულა შეიძლება ზოგს მოულოდნელ და მძიმე ჩავარდნა მოეჩვენოს. აქ არაფერია გასაკვირი და საგანგაშო. ასეთი უძლიერესი შემადგენლობის პრეტენდენტთა ასპარეზობა ისტორიის არ ახსოვს და, ცხადია, ვიღაცას უკანასკნელი ადგილი უნდა დაეკავებინა. არახამია ყველაზე უმცროსი და ნაკლებად გამოცდილი იყო. მას არასოდეს ჰქონია საშუალება ერთდროულად ებრძოლა ქაღრიას ამდენ ვარსკვლავთან. უნდა ითქვას, რომ ქეთევანმა პარტიების დიდი უმრავლესობა ღირსეულად წარმართა და თუ ბოლომდე ვერ გაუძლო, ესეც გამოუცდლობის ბრალი გახლავთ. ერთი, რაც თვალში საცემია, ის არის,

ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ქალთა დავაბაბითი მატჩი

მთავარი წინ პრის!

რომ ყველა პარტიაში არახამია სასტიკ ციტირებში იმყოფებოდა (ასე იყო ამ ტურნირამდელი). მისთვის 1 წუთში 20-25 სეკუნის ვაკუუმება სრულიად ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ზოგჯერ ციტირებში ქეთევანისთვის მოკავშირის როლს ასრულებდა, რადგან მეტოქეები მის დროის სიმცირის გამოყენებას ცდილობდნენ და თვით იწყებდნენ ელვისებური სისწრაფით თამაშს. მაგრამ ალბათ იგი დარწმუნდა, რომ ციტირები უფრო ხშირად მოკავშირე კი არა, მეტერი, რომელიც „ხაზს გადაუსვამს“ ხოლმე არაერთ ჩინებულ კომბინაციას თუ სტრატეგიულ გეგმას. რა თქმა უნდა, არახამიამ და მისმა მწვერებლებმა უნდა უნდა იფიქრონ, როგორ დააღწიონ თავი ამ სერიოზულ სენს. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ მეტად ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭადრაკის სადებიუტო რეპერტუარის დახვეწას, საერთო საჭადრაკო კულტურის ამაღლებას. ჩვენ გვწამს,



რომ დადგება ქეთევან არახამიას ჯერიც! ვინ იცის, შეიძლება ეს პრეტენდენტთა ასპარეზობის შემდეგ ციკლიც მოხდეს. ჩვენთვის რომ ტურნირის დაწყებამდე ვინმეს ეთქვა, ნონა გაფრინდაშვილი (4,5 ქულა) VII ადგილის დიკავებდო, ამას უხერხულ ოხუნჯობად მივიჩნევდით. მაინც რა მოხდა, რატომ გამოვიდა პირველი ჯილდოს ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტი მისთვის ესოდენ შეუფერებელ ადგილზე? ახლა, ცხვე გულზე, ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემა იოლი არ არის, საჭიროა დრო და დინჯი ანალიზი. შეიძლება აქ თავისი როლი იმანაც შეისრულა, რომ ნონა დალოლი ჩამოვიდა შეჯიბრებაზე, ამას გრიპიც დაემატა, შეიძლება ერთგვარ უღლებებზეც ვილაპარაკოთ...

ქალთა-ინფორმაცია

დღეს წყალტუბოში, ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ნანა იოსელიანისა და ელენა ახმლოვსკიას დამატებით მატჩში პირველ სვლას, პირველ პარტიაში გააქეთებს ნანა იოსელიანი. მეტოქენი 6 პარტიას გაითამაშებენ, მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში გამარჯვებულად გამოცხადდება იოსელიანი — ძირითად ტურნირში უკეთესი დამატებითი მაჩვენებლების გამო.

კვირიდან კვირამდე

„იხმესტია“ — 15 თებერვალი. „საუკეთესო პარტია ჯერ არ მიითამაშია“. ამ სათაურით გამოქვეყნდა ინტერვიუ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან. კასპაროვი ჩვეული პირდაპირობით საუბრობს სხვადასხვა პრობლემებზე, განმარტებებს იძლევა უცხოეთში მისი წიგნის გამოცემისა და კარაბოტან ბოლო მატჩის ზოგიერთ საკითხზე. „სოკრატის სპორტი“ — 14 თებერვალი. „კოტლიაროვის არგუმენტები, ანუ მისაბამი მაგალითი“. მეთხველთა თხველთი ვახეთის კორესპონდენტი ა. კორმუნოვი ესაუბრება მიხეილ კოტლიაროვს, რომელსაც მაღე 84 წელი შეუსრულდება. 14 თებერვალი. „განსაკუთრებული ინტერესის ზონაში“. ინტერვიუ მინსკის „დინამოს“ მწვერთნელ ი. სავოსტიკოვთან. 16 თებერვალი. „ომოცდათი სტრეკონი ნონარელით“. რატომ ეტობა ფიზკულტურულ-სპორტულ თემბეკას ცობა ადგილი პერიოდულ პრესაში?

ტელეფონით. „ლელოს“ ხსენებული კორესპონდენტი.

პრტი ტურნირი და მრავალი პრობლემა

ტურნირის ეპოქა

იხე ჩანს, რომ ჩვენს ქიდაობაში გარკვეულ ტრადიციას ეყრება საფეხბურთო უკველი დიდი შეჯიბრების შემდეგ სპეციალისტები იყრიან ხელს და მის შედეგზე ბეჭობენ.

კლასიკური ქიდაობის სპეციალისტების შემდეგ, რომლებმაც ქვეყნის ჩემპიონატის შედეგები შეაჯამეს, თავისუფალ ქიდაობაში მწვრთნელთა რესპუბლიკური საბჭოს წევრები შეიკრიბნენ სათათბიროდ თბილისის საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ.

ასეთ თავყრილობაზე ყოველთვის ბევრი რამ ითქმება, არის თავის გამოართობისა და სხვისი დადანიშნულების წილი და არასწორი ცდები, მაგრამ, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს კრება, გაცხადებული კამათი როგორც ინტერციით, თავისთავად ამოტყვევდება ხოლმე მნიშვნელოვან პარამეტრებში.

თაზის უფალი ქიდაობის სპეციალისტთა კამათი თავიდან უფრო მეორეხარისხოვანი საქმეების ირგვლივ ტრიალებდა, აღმოჩნდა, რომ თბილისის განათლების სამმართველოს ქიდაობის სკოლას, სადაც საქართველოს ნაკრები საწრთელ მეგრებზე იმყოფებოდა, საცხოვრებლად შესაფერისი პირობები არ ჰქონია და ა. შ. მაგრამ...

თაზის უფალი ქიდაობის სპეციალისტთა კამათი თავიდან უფრო მეორეხარისხოვანი საქმეების ირგვლივ ტრიალებდა, აღმოჩნდა, რომ თბილისის განათლების სამმართველოს ქიდაობის სკოლას, სადაც საქართველოს ნაკრები საწრთელ მეგრებზე იმყოფებოდა, საცხოვრებლად შესაფერისი პირობები არ ჰქონია და ა. შ. მაგრამ...


ვლადიმერ მესტირი ქიდაობის სპეციალისტთა კამათი თავიდან უფრო მეორეხარისხოვანი საქმეების ირგვლივ ტრიალებდა, აღმოჩნდა, რომ თბილისის განათლების სამმართველოს ქიდაობის სკოლას, სადაც საქართველოს ნაკრები საწრთელ მეგრებზე იმყოფებოდა, საცხოვრებლად შესაფერისი პირობები არ ჰქონია და ა. შ. მაგრამ...

ვითხოვ, ჩვენს მეტოქეებს, თუნდაც სიმბ სპორტსმენებს ხომ აქვთ. კლასიკური და თავისუფალი სტილის მოქიდავეებს მნიშვნელოვანი ტურნირის წინ საეარჯიშო ადგილის მოძებნა გვიჭირს. ძიუდოსიტებს, მავალითად, ამ მხრივ უკეთესად აქვთ საქმე...

გურამ ხალაბაძე: ძიუდოსიტებთან ან სხვებთან რა საქმე გვაქვს, ჩვენ ჩვენთვის უნდა შევქმნათ საეარჯიშო პირობები, შევიმუშაოთ წვრთნის გონივრული სისტემა, ფალავანთა კლუბი ფეხზე უნდა დავაყენოთ. აქ სწორედ იმით ვართ, რომ ერთმანეთს მოვუსმინოთ და გონივრული, ყველასთვის მისაღები გზა მოვნახოთ. ყველაფერი პროფესიულ დონეზე უნდა გადაწყდეს და არა ნაჩქარევად, ამას დრო და მონდობა სჭირდება.

როინ ღობორჯინიძე (პროფკავშირების სპორტსკოლის დირექტორი): მოქიდავეთა საეარჯიშო პირობები მართლაც გაუარესდა, მე ჩვენი სკოლის მაგალითზე მოვასწავნებთ. პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებათა გაერთიანების შემდეგ ჩვენი ქიდაობის სკოლებიც გაერთიანდა და თორმეტი მწვრთნელი, შეიძლება ითქვას, უსაქმოდ დავტოვოთ. შტატები კი არის, მაგრამ მწვრთნელებს ადგილი არა აქვთ, რომ მოწოდებები ავარჯიშონ. სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ყოფილი დარბაზის რემონტი არა და არ დამთავრდა, ლევან თვლიაშვილის სახელობის დარბაზის სახეგარეო წარგართვის, სპორტკლუბ „უშბის“ ერთი პატარა ბაზის იმედდ ვართ, ცხელ წყალზე და სხვა პირობებზე ხომ ლამაზადაა ზედმეტი. არადა, ჩვენს სკოლაში ქიდაობის ოთხი სახეობა დანერგული.

ვანო ნიკოლაძე („სპორტით რეზერვები“): პირობები ალბათ ჩვენ სხვებზე უკეთესი გვაქვს, მაგრამ მართლაც ჩვენ არ არის საქმე. როგორ შეიძლება საქართველოს ნაკრებს ანდა სპორტულ-ინტერნატს საკუთარი ბაზა, საკუთარი ლიბრები არ ჰქონდეს. ჩვენი დარბაზები ბოლო ხანს მეტისმედოდ გადაიტვირთა. არადა, ახლა კარგი, პერსპექტიული ახალგაზრდები მოდიან თავისუფალ ქიდაობაში: ბელთაძე, ზონიროვი, სისაური, მარკოვი, ბუზარაშვილი, ხინჩაგაშვილი... ხაშურშიც, გორშიც კარგი ბიჭები გვყავს. მათ სათანადო პირობები უნდა შევქმნათ, რათა სხვა რესპუბლიკაში არ „გაიქონენ“, ასეთი მაგალითი კი რამდენიც ვინდათ, იმდენია. ჩვენს მოქიდავეებს უმა-



ოლია საქირო. და კიდევ: ქალაქში რა ბაზებიც გვაქვს, ის უნდა ვიკაროთ. ეს ბაზები მხოლოდ საანგარიშოდ არის დატვირთული. ყველა მწვრთნელს ის უნდა, 5 საათზე მივიდეს დარბაზში და 7 საათზე წამოვიდეს. ასე მუშაობა არ შეიძლება. ბაზები ყველას გვეყოფა, თუ გონივრულად გამოვიყენებთ. ნაკრებს კი მართლაც უჭირს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შეიძლება საქირო დროს შევიძინოთ საგზურები, ვთქვამთ, ბორჯომში, დასასვენებელ სახლში. ლიბრების დაგებას რაღა უნდა... მაგრამ ასე უჭირვებს სპორტის აუცილებლობა, რა თქმა უნდა, კარგი ცხოვრებით არ არის გამოწვეული: ნაკრებს წვრთნის უკეთესი პირობები უნდა ჰქონდეს. საქიროა შემოწმდეს ზღვისპირა სპორტული ბაზები, იქ, განსაკუთრებით საკურორტო სეზონის დროს, სპორტსმენების გარდა ყველა ისვენებს. ეს ჩემი თვალთ მინახავს.

თაზის უფალი ქიდაობის სპეციალისტთა კამათი თავიდან უფრო მეორეხარისხოვანი საქმეების ირგვლივ ტრიალებდა, აღმოჩნდა, რომ თბილისის განათლების სამმართველოს ქიდაობის სკოლას, სადაც საქართველოს ნაკრები საწრთელ მეგრებზე იმყოფებოდა, საცხოვრებლად შესაფერისი პირობები არ ჰქონია და ა. შ. მაგრამ...

„ოჯახური“ რეკორდი

საბაბო კავშირის ჩემპიონისა და რეკორდსმენის გრიგორი კოჩივის სახელი ფართოდ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის ძალისხმევით. იგი მრავალი წლის მანძილზე წარმატებით იცავდა ჩვენს რესპუბლიკის სპორტულ დონეს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტადად, ჩემპიონატებსა და საერთაშორისო შეჯიბრებებში. გ. კოჩივი აქტიურ სპორტს დიდი ხანია ჩამოშორდა, მაგრამ ძალისხმევით სიყვარული ოდნავაც არ განელებია და მისი ერთგული დარჩა. მან სპორტის ამ სახეობისადმი სიყვარული და ინტერესი ბევრ ახალგაზრდას აღუძრა და კარგი ძაღსებები აღზარდა. გ. კოჩივი ძალისხმევით ახლოსსობის სიყვარული ბავშვობიდანვე ჩაუნერგა თავის ორ ვაჟს: სოსლანს და ალანს, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ ოჯახურ ტრადიციას.

ერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ალექსანდრე მედოევი. სოსლან კოჩივი კარგი ფიზიკური მონაცემებით გამოირჩევა, საუცხოოდ ფლობს ძალისხმევის მოძრაობების ტექნიკას, რაც იმის გარანტიაა, რომ იგი ახლო მომავალში კარგი ძალისხმევი დადგება. სოსლანი შეყვანილია რესპუბლიკის ძალისხმევის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში და დიდი მონ-

დობებით ემზადება მომავალი ასპარეზობებისათვის. ამავე შეჯიბრებაში 67,5 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა სოსლანის უმცროსი ძმა, 14 წლის ალანი, ალანმა მე-5 ადგილი დაიკავა, მაგრამ მისი ბუნებრივი მონაცემები, სპორტის ამ სახეობისადმი დიდი სიყვარული და მონდობა იმედს გვაძლევს, რომ ახლო მომავალში იგი უფრო გამო-

იუნორთა რესპუბლიკური პირველობა კალოსნობაში

იჩენს თავს. ამრიგად, კოჩივის ძალისხმევი ტრადიცია გრძელდება. ამ შეჯიბრებაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ცხინვალში კახა კახიაშვილმა, რომელმაც დროებით წონა შეიცვალა (82,5 კგ-ის ნაცვლად — 90 კგ) საქართველოს იუნორთა ოთხი რეკორდი დაამყარა. მან ორჯერ შეძლო 17 კილოგრამით (!) გაამჯობესა ძველი შედეგი. კახამ ატაკში პირადი რეკორდი (160,5 კგ) ჯერ 2,5 კგ-ით დაამძიმა, ხოლო შემდეგ — 7 კგ-ით. უფრო ეფექტური იყო მისი გამოსვლა აკრამში, სადაც მესამე ცდაზე 210 კგ დაძლია და თავისივე თანაქალაქელის, საერთაშორისო სპორტის ოსტატ ალექსანდრე მედოევის რეკორდი 10 კგ-ით გაამჯობესა. ნიჭიერმა ათლეტმა ორჯერ 377,5 კგ დააგროვა და ზუსტად 100 კგ-ით გაუსწრო ამ წონაში მესამე ადგილზე გასულ ქუთაისელ დავით სოფროშაძეს, რაც უჩვეულოა ნებისმიერი რანგის შეჯიბრებისთვის. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ვანო გრიჭოვის მოწოდების შედეგად საუკეთესო იყო არა მარტო ამ წონაში, არამედ 70 კგ-ით ადამატიბოდა ზემოთი წონაში გამარჯვებული სახეგრელი გრიგოლ ჩუბინიძის მიღწევასაც (კახა კახიაშვილი ამჯერად გდრ-შია, სადაც საბჭოთა კავშირის იუნორთა ნაკრებთან ერთად საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას. ყველაზე მთავარი შეჯიბრება მას 11-16 მარტს ელის: პერგოვურასკში გამართება საბჭოთა კავშირის იუნორთა პირველობა. ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება ქვეყნის ნაკრები, რომელიც მანის საბერძნეთში გამართულ იუნორთა მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება).

ამ შეჯიბრებაზე სპორტის ოს-



სოსლან კოჩივი და მისი მწვრთნელი ივანე გრიჭოვი.

ტატის ნორმატივი, კახას გარდა, პირველად შესრულეს თბილისელმა თემურ მოწოდებმა და ცხინვალელმა რუსლან კოჩიევმა.

გაურკვეველი მიზეზით შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ აქარისა და ახალციხის ძაღსებები.

ბაჩიანიშვილი შედეგები:

- 48 კგ. დემურბერი (წალკა) 70+85=155, გ. სობოლუვი (საჩხერე) 60+82,5=142,5. 52 კგ. ლევან ავაგულიანი (თბილისი) 67,5+87,5=155, ს. ოვანესიანი (თბილისი) 55+80=135, რ. იკოევი (სამხრეთ ოსეთი) 52,5+65=117,5. 56 კგ. კობა დიდბერიძე (საჩხერე) 75+100=175, გ. გვანჯაში (აფხაზეთი) 77,5+95=172,5, თ. პოპოვი (თბილისი) 72,5+92,5=165. 60 კგ. თენგიზ აბა (აფხაზეთი) 100+120=220, მ. ბესტავაშვილი (თბილისი) 95+112,5=207,5, ა. ძაგოევი (თბილისი) 87,5+102,5=190. 67,5 კგ. ფ. პაპულაშვილი (თბილისი) 112,5+132,5=245, ვ. აბულაევი (რუსთავი) 102,5+127,5=230, ლ. კარგაშვილი (წალკა) 97,5+127,5=215. 75,5 კგ. მოწოდებელი (თბილისი) 135+155=290, მ. ხუბულაშვილი (ქუთაისი) 122,5+160=282,5, ბ. მიქიაშვილი (თბილისი) 120+157,5=277,5. 82,5 კგ. სოსლან კოჩივი (სამ. ოსეთი) 140+170=310, შ. შუბითიძე (საჩხერე) 120+147,5=267,5, ხ. ჩოჩივი (სამხ. ოსეთი) 110+142,5=252,5. 90 კგ. კახა კახიაშვილი (სამხრ. ოსეთი) 167,5+210=377,5, დ. ლუმანლიანი (თბილისი) 125+160=285, დ. სოფროშაძე (ქუთაისი) 120+157,5=277,5. 100 კგ. ხვიჩა ქობალა (თბილისი) 140+185=325, ზ. ხარაიშვილი (საჩხერე) 130+150=280, +100 კგ. გრიგოლ ჩუბინიძე (საჩხერე) 142,5+165=307,5, ზურაბ ლუარსაბიშვილი (თელავი) 105+145=250.

შენიშვნა: 48 და +100 კგ. წონით კატეგორიაში მხოლოდ ორორი მონაწილე გამოდიოდა.


საქართველო კომპოზიცი

შედეგები

ჩვენ ძალიან გვიყვარს ქალაქი. ზნობილ ვარჩევთ „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ამოცანებს. აღტაცება გამოიწვია ჩვენთვის უცნობი ავტორის ეტიუდის ფინალმა, რომელსაც გივხავნი. გთხოვთ, გამოაქვეყნოთ მისი საწყისი მდგომარეობა, ამოხსნა და მოგვარებით ცნობები ავტორის შესახებ. საქართველო კომპოზიციის მოყვარულები — ინიჩინები, მამა-შვიდი ჭუანჭვი და ზურაბ ლორთქიფანიძეები (თბილისი)“.

სასიამოვნოა, რომ ეტიუდმა, რომლის შესახებაც კვირით გვექნება საუბარი, ასეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს კორესპონდენტებზე. იგი უდავოდ იმსახურებს გაზეთის მკითხველების ყურადღებას. მისი ავტორია ფრანგი ჟან დე ვილნევე-ესკლაპანი (1860-1943). არისტოკრატიული ოჯახში დაბადებული ახალგაზრდა, რომელიც გრაფის წოდებას ატარებდა, ქალაქის ტყვე აღმოჩნდა ახალგაზრდობაში ძლიერ მოთამაშედ ითვლებოდა. შემდეგ კი, 1906 წლიდან ეტიუდების შედგენაში მძიკო ხელი. ერთხანს საქართველო ბიულეტენს „ლუივე ფრანსის“ რედაქტორობდა. მისი აქტიური საქმიანობით მოღვაწეობის პერიოდი იყო 1919-1929 წწ. გამოჩენილი რუსი ეტიუდისტის ვ. პლატოვის აზრით იგი ესტატობის დონით მხოლოდ თავის დიდ თანამემამულეს ანრი რინკს ჩამოუყვარდებოდა, თუმცა მისდევდა სტილით მას ჰგავდა. ცხოვრებაში სულ 300-მდე ეტიუდი გამოაქვეყნა, საქვეყნოდ სახელი კი ერთმა გაუთქვა.

2. ვილნე-ესკლაპანი, 1928



ყაიმი

დიაგრამაზე აღბეჭდილი ეტიუდი, რომელიც გასწორებული სახით მოგვყავს (მოცილებული აქვს პირველი ორი სულა), ეურნალ „ვიციტიკაში“ შეტანილია. წლიურ კონკურსზე პირველი პრიზი ადინიშა. შედეგად შეტანილია უპირატესობა აშკარა, მაგრამ თითო რაგბს ვადაჩვენებს გარკვეული რაზნი უნდა ჰქონდეთ ჩაყვრილი ეტიუდის გამო. მეფე: c მისკენ მეფეურება 1. მფხ5! (უდი იყო 1. მფფ5? მფ6+-ის გამო. ახლა კი მექარაა 2. მფფ6) 2. მფ5! 2. კხ2

ხელმძღვანელი ვაჟა ნიქა

ე:ჩ6+ ფიგურის შეწირვის ფასად შევებმა მოსაგები მდგომარეობა მიიღეს, მაგრამ ბრძოლა მაინც გრძელდება! 3. მფფ5 ეჩ2 (3. ...ეჩ6 4. კფ5 5-5. ეჩ4) 4. კფ5! ეჩ2 5. ეჩ4 მძ4! ერთადერთი სულა. მხედრის სხვა თამაშს კუს ორმაგი დარტყმა და ეტიუდის დაკარგვა მოსდევს. 6. კფ3 (ბრძოლამ დიაგონალზე გადმოინაცვლა) ეჩ5+ 7. მფფ4 ეჩ5. შთაბეჭდილება იქმნება, რომ შევებმა მხედარი ვანსაცდელისგან იხსნეს და თეთრები უნდა დანებდნენ. მაგრამ 8. მფფ4 მფხ9. მფფ4 მფფ5 10. მფძ3! და შავი ფიგურები შებოჭილი არიან მხედრის მუდმივი დაბმის გამო. კუ ამ დიაგონალზე იმოძრავენ და პოზიციური ყაიმი გარდაუვალი ხდება. დიდებული ორთაბრძოლის დიდებული ფინალი!

„ლიტერატურის ისტორიიდან ცნობილია შემთხვევები, როცა მწერალი სახელგანთქმული ხდებოდა ერთადერთი ნაწარმოების წყალობით, რომელშიც აქსოვდა მთელ თავის ძალბეს. ვილნევე-ესკლაპანმა ბევრი ეტიუდი შეადგინა, ხოლო მათ შორის ერთი ნამდვილად უკვდავი. კომპოზიტორის მთელი შემოქმედება შეიძლება დავიწყებას მივცეს, მაგრამ ეს ეტიუდი ცოცხალი იქნება, სანამ ქალაქის თამაში არსებობს. იგი მსოფლიო საეტიუდო ლიტერატურის უგვიანლურესი ნაწარმოებია“. ასე წერდა ორმოცდაათი წლის წინათ მეცნიერი-ფილოლოგი და საეტიუდო ხელოვნების თეორეტიკოსი, გამოჩენილი საბჭოთა ეტიუდისტი ალექსანდრე გერბსტანი თავის წიგნში „თანამედროვე საქართველო ეტიუდი“.


გამოჩენილი პრობლემა

მისი გვარი 20-იან წლებში გამოჩნდა საქართველო პერიოდულ გამოცემებში. 1929 წელს კი მსოფლიოს პრობლემატის საკონკურსო მოწვევათა შეჯამების სენსაციურმა შედეგმა კომპოზიციის მთელი საყვარო განაცვიფრა. როსტოველმა ეგვენი უმნოვმა, რომელსაც სულ ორი წლის შემოქმედებითი სტაჟი ჰქონდა, ჩვენი და საზღვარგარეთის სახელგანთქმული ესტატა შორის მეორე ადგილი დაიკავა. 16 წლის ახალგაზრდამ იგივე წარმატება გამიგროა შემდეგ წელსაც და თვალნათლივ დაამტკიცა, რომ მისი სახით საქართველო კომპოზიციამ გამოჩენილი ხელოვანი შეიძინა. დიდა მისი დამსახურება საქართველო ამოცანის თეორიისა და ისტორიის დარგშიც. მისმა წიგნებმა, წერილებმა ფასდაუდებელი როლი ითამაშა საბჭოთა პრობლემატისტების მთელი თაობების აღზრდის საქმეში. დამწეები კომპოზიტორისათვის დიდი ხნის განმავლობაში სამაგიდო წიგნი იყო მისი „რა არის საქართველო კომპოზიცი“ (1954), ხოლო 1960-1967 წწ-ში გამოცემული სამტომიანი ისტორიული გამოკვლევა საქართველო ამოცანის შესახებ მსოფლიო საქართველო ლიტერატურის უნიკალურ ძეგლად უნდა ჩაითვალოს. 1940-1946 წლებში ე. უმნოვი

წითელი არმიის რიგებშია, დემობილიზაციის შემდეგ კი სამეცნიერო-კვლევით მუშაობას იწყებს მოსკოვის ერთ-ერთ ინსტიტუტში. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის შრომებს ნ. ჟუკოვსკის სახელობის პრემია მიენიჭა. დიდ სამამულო ომში გამოიყენებოდა ტომოგრაფებისთვის კარგად ცნობილი „უმნოვის ფორმულა“, რომლის საშუალებით შეიძლება მეთვალყურის კოორდინატების განსაზღვრა.

ახლახანს საერთაშორისო ოსტატს და ფიდე-ს საერთაშორისო არბიტრს 75 წელი შეუსრულდა. მოსკოველ ეტიუდისტ ნ. კარლინთან ერთად გამოსაცემად ამზადებს თანამედროვე ეტიუდის ფუძემდებლის ალექსი ტროიციკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიას. ამოსახსნელად გთავაზობთ მის სამსუბოან ამოცანას, რომელიც დახვეწილი ფორმით და საინტერესო თამაშით ხასიათდება.

2. უმნოვი, 1946



შამათი 3 სულაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

ამოხსნა

„ლელოს“ 7 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი ი. გოდალის ორსულაანი ამოცანის ამოხსნა: 1. 0-0. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: ქეთინო და თეა გულიაშვილები (სამტრედია), რ. ხარბელია (ზუგდიდი), გ. რაზმაძე (ავარა), მ. მურჯიკელი (ბორჯომი), ს. წიკლაური (შაშიანი), გურჯაანის წი, მარინა და ნანა ჰკადუები (სოხუმი), დალი გივარაძე, მ. დოლიძე (ორივე — მახარაძე), გ. შავდუაშვილი (გორი), შორენა თათანაშვილი (ქასპი), გ. ჰელიძე (ხაშური), ვ. ნიშინაძე (საღ. ძირულა), პ. ჩიტაძე, ზ. ქველიაშვილი (ორივე — რუსთავი), ნ. კახიძე (ბათუმი), ე. საბეგია (ჩხოროწყუ), ვ. ხითარაშვილი (ასპინძა), კ. ვაჩაძე (ტყეხული), უ. ლომიძე (სურამი), ვ. შავგულიძე, გ. არსენაშვილი, ი. მღვდლიაშვილი, ა. წითლანაძე, მ. გოგიაშვილი, ნატო მესხი, ს. სუბელიანი, ზ. ხვედელიძე, თეა ელჩიხაშვილი, ლ. რამიშვილი, ა. ლიხთაშვილი, დ. მამულაშვილი (ყველა — თბილისი).

იოგა-ჯანმრთელობის სასესიები

იოგების მორალური კოდექსი

მორალური კოდექსი, რომელიც იოგების სისტემაში წარმოადგენს განსაზღვრულ დამოუკიდებელ ნაწილს, მოიცავს ორ საფეხურს: იამა და ნიამა.

იამა — წარმოადგენს პიროვნებათშორისო ურთიერთობების თვითრეგულირებას უარყოფითი მისწრაფებებისა და მოქმედებების ნებაყოფლობითი ჩახშობის საფუძველზე. იამა ხუთი პრინციპისაგან შედგება: 1. ახიშა — ზიანის მიყენების, ძალმომრების უარყოფა, შემწყნარებლობა, თანაგრძობა, ჰუმანურობა. იოგების ზნეობრივი კოდექსის ეს ელემენტი ემხარება პიროვნებას გამოავლინოს შემწყნარებლობა მოცემული სოციალური გუფისა და ცალკეული პიროვნების ინტერესების მრწამსისა და სარწმუნოების მიმართ, გაზარდოს მასში სხვების ღირსებისადმი პატივისცემა და შეზღუდოს საკუთარი ეგოცენტრიზმი.

2. სატია — სიმართლე, პატიოსნება, გულახდილობა. იოგების სისტემის მიმდევარმა უნდა დაიცავს ჭეშმარიტება, არ დაუშვას სიყალბე, ფარისევლობა და საქციელის არათანამიმდევრობა. ხალხთან ურთიერთობაში იოგი უნდა იყოს პატიოსანი და გულახდილი. იოგის პრინციპია — აუცილებლად შეასრულოს თავისი დაპირებები და მოვალეობები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიმართლის პრინციპი ეტიუდების არა მარტო სიტყვებს და საქმეს, არამედ უპირველეს ყოვლისა აზრებს.

3. ასტეა — ქურდობისადმი შეურიგებლობა, სხვისი ქონების მითვისება შეუთავსებელია იოგების პრინციპებისათვის.

4. ბრამხარია — თვითდისციპლინიზებული სექსობრივი აქტივობაში, ქარბი სექსობრივი ურთიერთობებისაგან თავშეკავება. იოგა სექსობრივი ცხოვრების რეგულირების ზნეობრივი ნორმები ხასიათდება ახიმსას, სატის პრინციპების მოთხოვნისაგან და მონოგამური ურთიერთობების საზოგადოების მიერ დამტკიცებული კანონითა და მორალით. ეს პრინციპი აყენებს სექსობრივ ურთიერთობებს მაღალ დონეზე. ადამიანმა უნდა აირჩიოს ცხოვრების მეგობარი და დარჩეს მისადმი ერთგული მთელი ცხოვრების მანძილზე ნებისმიერ ვითარებაში.

ბრამხარია პრინციპის მიმართ არსებული პრაქტიკული შეხედულება და აზრი, მაგრამ ძირითადი კი იამაში მდგომარეობს, რომ მამაკაცს უნდა ჰყავდეს მხოლოდ ერთი ქალი და ქალს მხოლოდ ერთი მამაკაცი.

ბრამხარია — ეს არ არის სექსობრივი აქტივობის ფანტიკური ძალდატანებითი დათრგუნვა — სექსობრივი სიჭარბისაგან თავშეკავება. სექსობრივი აქტივობა დაემატება იოგის სისტემაში, როგორც უმეტეს მატერიალურ საფეხურზე უარის თქმის პრინციპი, შურის, სიხარბის, ეგოიზმის უარყოფა. იოგები ცხოვრობენ უბრალოდ, არ ისწრაფვიან ტიტულების მისაღებად, კარიერის მისაღწევად, არ ავრთვებიან ფულს, სიმდიდრეს. ამ პრინციპის მიხედვით ადამიანს უნდა ჰქონდეს აუცილებელი, უბრალო, მაგრამ სრულფასოვანი და შინაარსიანი ცხოვრება.

ნიამა — წარმოადგენს შიგაპიროვნული (თვითპიროვნული) პროცესების რეგულირების სისტემას. იგი მოიცავს დადებითი თვისებების ფორმირების პრინციპებს ადამიანის ხასიათში, რაც აუცილებელია იოგებით მეცადინეობაში წარმატებულად. ი. „ლელო“ 1987 წლის №205, 210, 215, 220, 225, 229, 234, 239, 244, 248; 1988 წლის № 8, 7, 12, 17, 22, 27, 32.

ტების მისაღწევად. ეს მეორე ეტაპი ეყრდნობა მორალური საქციელის, საკუთარი თავისადმი პატივისცემისა და მოთხოვნის უპირველეს უმაღლეს საფეხურს.

ნიამა, აბრეშვი, უმნოვი პრინციპებისაგან შედგება:

1. შაოჩა — ფიზიკური და სულიერი სისუფთავე სულიერ სიმშინდელში იგულისხმება. ეს არის უარყოფითი ელემენტების — რისხვის, ბოღმის, ავზრობის, შურის, ეჭვიანობის, ქედმაღლობის აღმოფხვრა და რაც უფრო მთავარია, ეს არის გონების „გაწმენდა“ ცული აზრებისაგან და შესაბამისი მოქმედებების — ცილისწამების, ინტრიგანობის, მოტყუების, მოქმედების აღმოფხვრა.

იოგების კლასიკურ ტექსტებში შაოჩას პრინციპს მიაკუთვნებენ: ფიზიკურ სისუფთავეს, კვების სპეციალურ რეჟიმს და გამწმენდი პროცედურების საშუალებებს.

2. ხანტომა — ემყოფილება, ოპტიმიზმი, სიხალისე, სიწყნარე. თანხმად ამ პრინციპებისა ადამიანი უნდა იყოს ოპტიმისტი, ყოველთვის უნდა ეცადოს იყოს კარგ გუნებაზე, იყოს საკუთარი თავის ემყოფელი, დარწმუნებული საკუთარ ძალეში და შესაძლებლობებში. ეს დაეხმარება მას წარმატებით გადაწყვიტოს ყოველდღიური პრობლემები.

3. ტაპასი — სიმტკიცე, ამტანობა, სიმკაცრე, სიბეჯითე, ასკეტიზმი. ამ თვისებების გარეშე ადამიანს გაუწელებლა მიაღწიოს წარმატებას იოგების სისტემაში. ტაპასი წარმოადგენს ზნეობრივი ყოფიქვევის ფორმას, რომელიც ინერტულობის შეგნებულ დაძლევის შედეგად არის მიღწეული. შეგნებული დისციპლინაობა, ერთგულება, შეუპოვრობა — აი ის აუცილებელი პირობები, რომლებიც საჭიროა იოგების სავარჯიშო კომპლექსის წარმატებით დაუფლებიასთვის.

4. სვადხაია — თვითშეგნება. თვითგამორკვევა, იოგებით მეცადინეობა მოითხოვს მუდმივ თვითკონტროლს. ყველამ კარგად იცის, რომ საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებულ შეფასებას მოყვება არასასურველი შედეგები. ასეთი შეფასება შეიძლება მოხდეს ცული თვითკონტროლის, საკუთარი ქცივის ანალიზის არასაკმარისი უნარის შედეგად.

იოგის ზნეობრივი თვითდისციპლინა და ეთიკა, რომელიც განსაზღვრავს მის მორალურ კოდექსს, შეიძლება დაეხმარებოდეს შემდეგი 20 ძირითადი პრინციპით: ზიანის არმიყენება, სიმართლისადმი სწრაფება, სისუფთავე, ყოვლისშემწყნარება, მოთმინება, შეწყალება, პატიოსნება, ზომიერება, სულგრძელობა, ემყოფილება, დაჯერებულობა, გულუხვობა, ერთგულება, შრომისმოყვარეობა, გობიგულობა, სიფრთხილე, წინდახედულობა, გაბეღულება, უმცირეობა. იოგების სისტემის მიმდევარმა უნდა დაიცავს მორალური კოდექსი ცხოვრების ნებისმიერ სიტუაციაში სხვადასხვა სიმდებრებისა და დაბრკოლებების მიუხედავად. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება იოგების სისტემის შესწავლაში წარმატების მიღწევა, ე. ი. სრული ფიზიკური და ფსიქიკური სრულყოფის მიღწევა.

ალექსი იაკოვაშვილი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი. (გაგრძელება იქნება).

„სპორტპრობლემა“, მისხრა ტირაჟის პროგრამა (27-28 თებერვალი)

Table with 3 columns: Name, Age, and Prize. Lists names like ბარნინი, ბარნინი, ახე, etc., and their corresponding prizes.

„სპორტლოტო“

სპორტლოტო ლატარეების მთავარ სამმართველო შეჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-7 ტირაჟებისა, რომლებიც 14 თებერვალს გაიმართა.

ექვსი ციფრი ვერაინ გამოიწო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (68 ბარათი) მოგება 826 მანეთია, ოთხისთვის (2904) — 29, სამისთვის (47158) — 3.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (84 ბარათი) მოგება 6584 მანეთია, ოთხისთვის (11505) — 87, სამისთვის (292325) — 4.

შეშვიდე ტირაჟების მოგებათა განაღდება იწარმოებს 29 თებერვლიდან 29 მარტის ჩათვლით.

„სპორტლოტო 5 36“-იდან: გაიყიდა 18.155.599 ბარათი.

ჩაენი მისამართი: წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ჩადაქმნის ბალანსები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მარტვი“ — 93-97-27.

ჩადაქმნის ბალანსები: 83960 05დაქმნი 66485

საქართველოს კ კვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისა სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ზოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10656